№ 189, სექტემბრის 4, ოთხშაბათი. 1866—1885 სექტემბრის 4, ოთხშაბათი. № 189.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშიგე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული ერკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხელმოწერება მოითხოვს, რედაქცია გაახწორებს და შეიმოკლებს დახარჯულად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლებელთათვის 3 მანათი.

თანამედროვე მოდა

თბილისი, სექტემბრის 4-ს.

ამ ჟამად რუსეთის მოწინავე საზოგადოება და თვით მთავრობაც უმთავრესს თავის ყურადღებას აქცევს გლეხთა მდგომარეობას. ახლანდელის პატიოსანის და მოწინავე მოღვაწის სახელს მხოლოდ ის ატარებს რუსეთში, ვინც გულ მტკივნეულად, კაცთმოყვარულის გრძნობით აკვირდება გლეხთა ცხოვრებას და თანაუგრნობს მათ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში მთავრობას. ყოველი მოწინააღმდეგე მთავრობის საშუალებათა და ზომათა ხალხის საკეთილდღეოდ, ითვლება რუსეთში არა თანამედროვე კაცად, სიბნელის მომხრედ, ბატონყმობის დაბრუნების მსურველად. რუსეთის ლიტერატურამ უფრო ადრე დაიწყო გლეხ-კაცის ბედზე ზრუნვა, მისი ნივთიერის მდგომარეობის შესწავლა, მისი ყოფა-ცხოვრების დაკვირვება, მისი სულიერი მდგომარეობისა და ვითარების ყოველ-მხრივი გამოკვლევა. საუკეთესო რუსულ ჟურნალებსა და გაზეთებში გლეხი შეიქმნა მუდმივი სტუმარი, სასურველი საგანი ყოველ-გამოკვლევათა, მოთხრობათა, მოგონებათა. დაიბადა განსაკუთრებული ხასიათის მწერლობა, რომელიც განსაკუთრებით გლეხის ყოფა-ცხოვრების შესწავლას ეტანებოდა. ნიჭიერნი წარმომადგენელნი ამ ჟანრის მწერლობისა, ბ. უსპენსკი, ნ. ზლატოვრაცკი, ალბოვი და სხვ. გულმოდგინედ და სვინიდისიერად სწავლობდენ გლეხთა მდგომარეობას, მისს წარსულსა და დღევანდელს ეკარგიანობას; მისს გონებრივსა და სულიერს ინტერესებს და უფრო და უფრო აერცელებდენ და აფართოვებდენ იმ მიმართულებას, რომელსაც მთავრობა და საზოგადოება დაადგა ამ ათის და თხუთმეტის წლის წინად. ერობანი ჰკრებდენ სტატისტიკურს ცნობებს თავიანთ მაზრებში, პროგრამები ამ ცნობათა შესაკრებად გლეხთა ცხოვრების შესახებ მრავლად იბეჭდებოდენ, ნასწავლნი პირნი ასობით და ათასობით გაიბნენ სოფლებსა და პროვინციებში და თავიანთის დაკვირვებით, სოფლის შესწავლით ეშველებოდენ ამავე მიმართულებას. ერთის სიტყვით გლეხი მკვიდრად დამკარდა «რუსეთის ბელეტრისტიკის სალონებში» და გარკვეული ადგილი დაიჭირა მთავრობის საზრუნავ საგანთა შორის.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო იმ დიდის და ყოვლად მაღალის საქმის შემდეგ, რომელიც განხორციელდა წარსულის მეფობის დროს და რომელმაც გაანთავისუფლა, დაუმოკიდებელ შრომისა და წარმატების გზაზე დააყენა თითქმის ას მილიონისაგან შემდგარი რუსეთის გლეხობა.

რუსეთის სახემწიფო გლეხთა საველმწიფოა მომეტებულ ნაწილად. გლეხთა რიცხვი იმპერიაში, შეადგენს 75% მეტს. მაშასადამე ეს უმრავლესობა შეადგენს უმთავრესს საძირკველს, რომელზედაც აშენებულია რუსეთის სახემწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, გლეხობა შეადგენს უმთავრეს ძალას სახემწიფოს ხაზინის გასაძლიერებლად, მისი პოლიტიკურისა და ეროვნულის ინტერესების დასაცველად.

აი, ამ მოსაზრებით აიხსნება, რომ უკანასკნელს დროს ასეთი ყურადღება დაეთმობა გლეხობამ საზოგადოდ რუსეთში და კერძოდ ჩვენშიც. მაგრამ, სამწუხაროდ, თუ რუსეთის მთავრობის კეთილი განზრახვა, ფიქრი და დაწყობილება ჰპოვებდა ისეთს შემწეობას და თანაგრძნობას თვით საზოგადოებაში, მწერლობაში, მეცნიერებაში, ჩვენში, პირ-იქით, ეს თანაგრძნობა, როგორც მწერლობის მხრით, ისე მოწინავე საზოგადოების მიერ, ძრიელ მცირე, ნაკლები და ოდნავ შესამჩნევი იყო.

ნულარას ვიტყვით იმაზე, რომ ჩვენ წამლადაც არა გვყავან ისეთი პირნი, რომელნიც ხალხის ცხოვრებას კარგად იცნობდენ და იკვლევდენ, ხალხის სულიერსა და გონებრივს ინტერესებს აკვირდებოდენ, არა გვყავს არც ერთი ადამიანი, რომლის გონება და მოვალეობა უნცროსთა ძმათა ყოფა-ცხოვრების დაკვირვებაზე და შესწავლაზე იყოს გადამდგარი; ჩვენს მწერლობაში ხომ ათასში ერთხელ ვერ შეხვდებით ცოტად თუ ბევრად დალაგებულს და დაწყობილს წერილს უბრალო დილეტანტისას, პუბლიცისტისას. თვით ჩვენი ბელეტრისტები მეტად მცირენი არიან, მეტად ცოტათი სწავლობენ სოფელს საზოგადოდ, გლეხის ავკარგიანობას, მეტად ზარმაცად მხოლოდ გარეგნობით აკვირდებიან მის შინაგანს სულიერს არსებობას, მის ფსიხიას. სულ ერთი ორია ამ გვარი მწერალი და ისინიც, კუდიანი ვარსკულავივით, წელიწადში და ორ წელიწადში ერთხელ ძლივ დაენახვებიან ხოლმე საზოგადოებას. ვინც არიან, იმათაც იმდენი დამოუკიდებლობა არა აქვთ, იმდენად ცხოველი და ღრმა არ არის მათში გრძნობა სივევარულისა ჩვენს გლეხკაცობისადმი, რომ საგლეხ კაცო მწერლობა, განსაკუთრებული საგლეხ-კაცო ჟანრი დააარსონ. თანამედროვე მოდას ვერ გაუტაცნია ჩვენი ბელეტრისტები ეტყობა; ჩვენი გლეხ-კაცობა რომ ისეთსავე სამსახურს უწევს ქვეყანას, რომ ისევე უძღვება მის მტერსა და მოკეთეს, როგორც რუსეთის გლეხობა ემსახურება სახემწიფოს და ეროვნობის იდეიას. მოდა და ბაძი იქ შეგვიპყრობს ხოლმე, იქ დაგვიყენებს ხოლმე თვალს, საცა ახლო არც-კი უნდა გაგვეკვლო პირველისთვის და გულში არ გაგვეტარებინა მეორე. ხოლო საცა მოდა შეეხება ყოველად სასარგებლო საქმეს, საცა მოდა შეეხება თვით ჩვენის ქვეყნის, ჩვენის შვილისა და შვილის-შვილის ბედნიერებას, ჩვენის ქვეყნის აყვავებას და, საცა მთავრობა თვითონ ცდილობს ამ გვარ გზაზე დაგვაყენოს, იქ ჩვენ ყურ-მოყრუებულნი ვართ, იქ ჩვენ მომაკვდინებელს სიზარმაცეს, საშინელს გონებრივს სიღატაკეს, გრძნობის სიჩლუნგეს და აზიურს გულ-გრილობას ვიჩენთ. და ჩვენვე არა გვრცხვენიან, რომ ამ გვარის ქცევით ჩვენვე ვღუპავთ ჩვენს თავს, ჩვენს მომავალს... Sapienti sat.

ნუ დაგვილიოს ღმერთმა ამისთანა ნუგეშის-მცემელნი!

არ ვიცი, მკითხველო, შენ როგორის თვალით შეხედავ გაწკეპილ ფრანტს ექიმს, რომელიც მუდამ მხიარულია, მუდამ კმაყოფილი, მუდამ ვიზიტების ფულით ჯიბე-საესე, რომელსაც სურს თავის კმაყოფილება თავის პაციენტებსაც აუცრას, ორმოცდა-ორ გრადუსიან ანთებას უბრალო სიცხეს უძახის და გაძლიერებულ ჭლექით ავადმყოფს ცხვირიდამ სისხლის წასკდომას უმიზეზებს,—არ ვიცი შენ როგორის თვალით შეჰხედავ ამ გვარ ავადმყოფს, მაგრამ მე კი ამისთანა ესკულაპი მუარველ ანგელოზად მიმაჩნია და თუნდა არაფერი მიწამლოს, მაინც ღიაა მისთვის როგორც ჩემის სახლის კარები, ისე ჩემი სუსტი ქისა, რომელიც იმის ჩასუქებულ ქისასთან მართლა რომ გაძლიერებულ ჭლექით ავადმყოფსა ჰგავს...

სწორედ ამ გვარს ჩასუქებულს და კმაყოფილს ექიმს მომაგონებს გაზეთი «ძავკაზიც» და ამიტომ ჩემი კარები ყოველთვის ღიაა ამ გაზეთის მომტანისათვის, რადგან ვიცი, რომ «ძავკაზის» მწერალთათვის ქვეყანა ვარდის ფრად არის შელებილი, მის პოლიტიკოსებისათვის აბადოესკის გეოგრაფია და ძაიდანოვის ისტორია უპირველესნი და უმთავრესნი ხელმძღვანელნი არიან და მის რეცენზენტებისათვის ფითოევის ოპერის მომღერალნიც კი სირინოზის ხმითა მღერიან.

მართლაც, როცა სხვა გაზეთები მოგვითხრობენ, რომ ჭიაირიმამ ერევნის გზაზედ ასორმოცი მგზავრი დაატუსალა, დილიდამ საღამომდე რევიზიას უკეთებდა და ყველას შესაფერი ხარკი გამოართვა; როცა სხვები ლაპარაკობენ თბილისიდამ 14 ვერსზედ ფოსტის გაცარცვაზედ; როცა სხვები შიშის ზარსა სცემენ მგზავრებს ამ გვარ ამბების გავრცელებით; ამ გაზეთის პუბლიცისტები შაევრდოვის ხუხულას პირდაპირ დაბანაკებულან და იქიდამ მგზავრებს ნუგეშის სიტყვით გულს უმშვიდებენ, ნურა გეფიქრებათ-რა, რაც უკანასკნელს დროს ამბები მოხდა, ეს სულ გარეშე მოვლენაა და თვით ხალხში მშვიდობა და მყუდროება სუფევს. «ამისთანა ავაზაკი, ამბობს ხსენებული გაზეთი, ორს სამს კაცს შეიწირავს, ორსსამ კაცს ქონებას წაართმევს, მაგრამ თავის შემდეგ ღრმა კვალს არა სტოვებს და მშვიდობიანს შრომას ხელს არ უშლის. ბაქოსა და ბანჯის გუბერნიებში მომხდარი ყაჩაღობა იმ ავაზაკების საქმეა, რომელნიც სპარსეთიდამ გადმოდიან; მართალია ეს ამბები სამწუხაროა, მაგრამ ეს ადგილობრივი მცხოვრებლების საქმე არ არის. აქ მხოლოდ საჭიროა იმისთანა საშუალების ხმარება, რომ ყაჩაღებმა ველარ გაჰბედონ სამზღვარს გადმოსვლა და ამ გუბერნიებში დამყარდება მშვიდობა და უშიშროება».

ღმერთო ჩემო, რაკი ასე ადვილი ყოფილა ყაჩაღობასთან ბრძოლა, აქამდის რაღას ეუყურებდით. ჩაიცვან «ძავკაზის» პუბლიცისტებმა სამგზავრო ტანისამოსი, წინ წაიმძღვაროს ბ. ტებენკოვი, თან წაიყოლონ საჭირო სამგზავრო ფული და მოახდინონ განკარგულება, რომ სამზღვარზედ აღარავინ გადმოუშვან, ვისაც «ძავკაზზედ» ხელის-მოწერის კვიტანცია არ ექნება და მაშინ აღარც ჭიაირიმა დაგვიშა-

ვებს რასმე, აღარც Oანგრი-ვერდი, აღარც ვილაც Oნგუბ-ძისტები და მთელს ჩვენს ქვეყანაში დამყარდება Oშვიდობა და უშიშროება!...

Oინაური ქრონიკა

ᲝᲝᲝ ᲐᲛ ჟამად დღე-Oუდამ აუარებელი ხალხი Oოგზაურობს რკინის გზით. საზაფხულოდ გასულნი ბრუნდებიან ქალაქებში და აუარებელს Oშობლებს ქალაქებისაკენვე Oიჰყავთ შვილები სხვა-და-სხვა სასწავლებელში მისაცემად. ᲐᲛᲘᲡ გამო რკინის გზის ვაგონებში საშინელი ვიწროობაა და ჩვენის რკინის გზის საზოგადოებას ვერ Oოუხერხებია, რომ ასეთ დროს გაამრავლოს რიცხვი ვაგონებისა.

ᲝᲝᲝ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვწერენ: «ᲒᲐᲡᲣᲚᲘ თვის 30-ს აქ ქართული წარმოდგენა იყო. საზოგადოება ბლომად დაესწრო თეატრში და კმაყოფილიც დარჩა. საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად გაიარა. Oოთამაშეთ ეტყობოდათ რიგიანი Oომზადება და სიბეჯითე. ᲙᲐᲠᲒᲐᲓ აასრულეს თავიანთი როლები: Კ. Oესხიმ, Oეფ. Oესხისამ და ს. Oოგოლაშვილმა.»

ᲝᲝᲝ სოფ. Oაკლათიდამ (სამეგრელოში) გვწერენ: «სამეგრელოში როგორც Oოგეხსენებათ, ქურდობა თითქოს გააწყალა ზუგდიდის მაზრის უფროსმა ᲐᲛᲘᲡ ენერგიულმა Oოქმედებამ გაიყოლია სხვა მაზრის უფროსებიც და ამ საერთო Oრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. Oოასვენა საზოგადოება ამ ენერგიულმა ზომებმა. Oრი-სამი თვე პურუტყვები Oთატყეთ დადიოდენ უმწყემსოდ, მაგრამ ქურდობა არსით ისმოდა. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲮᲐᲠᲝᲑᲓᲔᲜ. — ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ Oოკვდა, მისი დაბრუნება აღარ შეიძლებაო. მაგრამ Oოეტყუედით. Aქა იქ ისევ ხდება ცხენების ქურდობა და ყველაზედ უფრო საფიქრებელი ის არის, რომ ეხლა ეკლესიების ცარცვა შემოიღეს. ᲒᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡ კვირას, ხუთშაბათს და პარასკევს სამი ეკლესია გასტეხეს: ერთი სენაკის მაზრის სოფ. სახარბედიოს წმინდა ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ეკლესია; ფული სულ მანათ ნახევარი წაუღიათ და მეტი რო ვეღარ უპოვიათ რა—ხატები Oიწაზედ Oიუყრ-Oოუყრიათ. Oეორე და Oესამე გაცარცული ეკლესია ზუგდიდის მაზრის ს. ᲮᲝᲠᲨᲘᲡ არიან. Oრის ეკლესიიდან ფულად ჩვიდმეტი კაპეიკი წაუღიათ და სხვა ვერცხლეულობა.

ᲝᲝᲝ საგარეჯოს ახლად დაყენებულ Oამასახლისზედ გვწერენ, რომ თავისი ჯიბის სასარგებლო სოფლის განაჩენების დადგენით ლამის ამ სამ კვირაში სასოფლო ყრილობის წიგნი გააესოსო. როგორც წინანდელ ნამწერალევს, მას შემეცნებული ჰქონია, რომ კამერალაში ჩვიდმეტიოდ კომლი გლეხი ორ-ორ-ჯერ ყოფილან Oოხსენებულნი და ეს თხუთმეტი წელიწადია ჩვიდმეტჯერ 12 მან. და 70 კ., გამრავლებულს თხუთმეტზედ—ესე იგი თითქმის ორას თუმანზედ მეტს ფულს ტყუილად ახდევინებს ხაზინა. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ყრილობისათვის დაუდგენინებია: ეს ფული თუ Oათმა Oამასახლისმა უკან დაიბრუნა, ნახევარი Oრომის ფასი მისი იყოსო. ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ადგილკატიკი 10% მეტს არ იღებს თუნდ ძნელის საქმის წარმოებისათვის და ეს კი ერთ არზაში ამოდენა ფულს ნდომობსო — თუმცა უიმისოდაც ეს მისი Oოვალეობაა და სახელმწიფო პალატას არზით ცნობის მეტი არა უნდა-რაო.

ᲝᲝᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲡ“ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲘᲐ, Oომ ამ დღეებში Oოელიან ქალაქში სასულმწიფო კონტროლის კანცელიარიის დირექტორს ტაინი-სოვეტნიკს ᲩᲔᲠᲕᲬᲜᲘᲙᲘᲡ, Oომელმაც უნდა გადასინჯოს საქმეთა წარმოება თბილისის კონტროლის პალატისა.

ᲝᲝᲝ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ იყო Oოხსენებული, თუ ახლად Oოგორ დაიყო საქართველოს საეგზარხო ეპარქია. ახლა შეძლება Oოგვეცა კვლნობოთ Oკითხველებს თვით შტატებიც ეპარქიალურის სამმართველოებისა იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი და სუხუმისა. ᲔᲠᲗᲘᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲭᲘᲔᲚᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ამ ეპარქიისას შტატით მიეცემა 3,000 მან. წელიწადში, ამას გარდა საარქიელო სახლის სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის ᲧᲕᲔᲚᲐ Oათგ.ნს მიეცემა პირველს Oრს ეპარქიას წელიწადში თითოს 1,200 მან., დანარჩენთ 800 მან. Oთლად საარჯი არქიელებზედ და Oათ სასახლეებზედ გამოანგარიშებულია 12,200 მან. ᲧᲕᲔᲚᲐ ეპისკოპოსს თავის კანცელარია ექნება და ამ სამს ეპარქიალურს კანცელარიაზედ გამოანგარიშებულია საარჯი 6,370 მან. ᲧᲝᲕᲔᲚ წლივ. ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐᲚᲣᲠᲘ Oობოროების შენახვისათვის გადადებულია: იმერეთის ეპარქიაში 4,500 მან., ᲒᲣᲠᲘᲐ-ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡᲘᲡᲐᲨᲘ 3,810 მან. და ᲡᲣᲮᲣᲛᲘᲡᲐᲨᲘ 5,700 მან. ამ ნაირად სამ არქიელზედ და Oათ კანცელარიებზედ წელიწადში დაიხარჯება 32,580 მან., ეს ფული მიეცემათ 11,470 მან. იმერეთის საეკლესიო სახინიდამ, 4,200 მამ. Oამეგრელოს ამ გვარისაგე სახინიდამ და 16,910 მან. სახემწიფო სახინიდამ. ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ სახემწიფო სახინა მისცემს ამ საგნისათვის არა 16,910 მან., არამედ 3,800 მან. ნაკლებს; ეს 3,800 მან. მიეცემა 1886 წლიდამ. ᲒᲣᲠᲘᲐ-ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ და Oოხუმის არქიელების რეზიდენტიები ჯერ გამორკვეული არ არის („ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ“).

ᲝᲝᲝ Oოფ. Oაგარეჯოდამ აცნობებენ „ᲜᲝᲕᲝᲔ ᲝᲠᲔᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, Oომ სექტემბრიდამ იქ Oომრიგებული სასამართლო გაიხსნებაო. (იქაურს დამზოგველ ამხანაგობასაც სრულიად შეუწყვეტია თავის Oოქმედება. ამ საზოგადოების დუქანში ახლა ათთიაქის გაღებას აპირებენ.)

ᲝᲝᲝ ᲮᲝᲯᲐᲔᲕᲘᲡ სახლის (ნაგორნის ქუჩა № 1) მდგმურმა შამოგეჩიელა, Oომ ამ სახლის ფეხის ადგილები საევსა უსუფთაობით და რადგანაც გასავალი მილები გაფუჭებული აქვს, ამისათვის ისეთი საშინელი სუნი სდგას, Oომ არამც თუ თვით სახლის ეზოში, არამედ ქუჩაში გამვლელებიც-კი ცხვირზე ხელს იჭერენ. Oთხოვთ ვისიც ᲯᲔᲠ არას ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

«ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ᲖᲔᲛᲝ-ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ, სექტემბრის 1. საზოგადოდ Oმერეთი ძველ დროიდამვე განთქმული კუთხეა თავისის სილამაზით. ᲐᲛ სილამაზეს და ბუნების სიმდიდრეს, კეკლუცის ქალის მსგავსად, ბევრი მტერი აუჩენია ამ ქვეყნიურის ედემისათვის. Oმერეთი Oმითი იყო სხვათა Oორის საქებარი, Oომ აქაურ მიწას ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ მამულებიანთ რწყვა არ ესაჭიროება; აქ თავ-თავის დროზე წვიმა Oოდის, საკმაო ცვარია ღამ-ღამობით, ჰაერი ნოტიო და ზომიერი აქვს, თან დედა-Oიწაც ნოყიერია. ᲐᲛᲘᲡ გამო აქ დიდი Oოსავალი იცის. რა გინდა Oომ აქ არ Oოდის.

Oაგრამ სამწუხაროდ აქ საშინელი სიძვირეა Oიწისა, რის გამოც ამ ბოლოს დროს ᲖᲔᲛᲝ-ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ Oცხოვრებნი გლეხნი თითქმის ყოველ წლობით გრძნობენ სიმინდის ნაკლულებას. Aქ Oიწის სიძვირეს, აგერ ოცი წელიწადი იქნება, დაემატა გვალვა. 1868 წლიდამ 1883 წლამდე თან-დათან Oატულობდა გვალვა. ᲐᲡᲔ გასინჯეთ, ამ დროს განმავლობაში ისეთი წელიწადიც ბევრი გამოერია, Oოცა ხშირად ორი Oესამედი Oორაპის მაზრის Oცხოვრებთა იძულებული იყო ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲨᲘ ან ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ ეყიდნა თავის ოჯახის საზრდო-საკვები.

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲦᲕᲗᲘᲡ Oადლით, და განსაკუთრებით წელს Oმერლებს ძველი კარგი Oოსავლის წელი დაუბრუნდათ. ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ Oაინც ᲦᲕᲗᲘᲡᲐ�გᲐᲜ დალოცვილ წლად ჩაითვლება. ᲙᲐᲠᲒᲘ გამოცდილი Oიწის Oრწყველი Oუშაც ვერ Oორწყავდა ისე თავ-თავის დროზე ყანებს, Oოგორც წელს წვიმა Oოდიოდა დრო-გამოშვებით, Oიგზე. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ Oიზეზი, Oომ წელს ჩვენებური Oცხოვრებნი აღტაცებაში არიან და Oორის და სამის წლის Oოსავალს Oოელიან. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ, Oოგორც წელს აქ არის, Oე ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ თუ Oინახავს. Oითო ძირ სიმინდს Oორ-Oორ სამ-სამი ტარო აქვს გაკეთებული. Oიდი ნუგეშია გლეხისთვის და საზოგადოდ ჩვენის Oხრისთვის კარგი Oოსავალი.

ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ Oოსავალს უნდა დასძინოთ ღვინის Oოსავალი. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲦᲕᲗᲘᲡ თვალი ტრიალებს ჩვენებურ ზვრებში. ᲔᲠᲗᲘ Oომ ძლიერ კარგა ასხია, Oეორე—ვენახის Oატერი ნაცარი აღარსად არის. ᲮᲐᲚᲮᲘ თავისის დაკვირვებით, აი, Oრას ჰფიქრობს ნაცრის Oოსპობაზე ჩვენში. 1879 წელში დიდი ზამთარი და ცივი ყინვები Oომ იყო, მას აქეთ Oოისპო ნაცარი. ᲐᲛ გარემოებაზე ხალხის Oეტს არაფის ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ არ Oიუქცევია, და, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, იქნება, Oართლაც დიდ ზამთარს ნაცარზე Oაიმე გავლენა ჰქონდეს.

Oოგორც სიმინდისა და ღვინის Oოსავალია კარგი, ისრე ხეხილსაც კარგად ესხა წელს აქ; Oაგრამ ხილის სიმრავლეს თან Oოსდევს ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ Oუცელა ან «Oუცელ ბატონები», Oოგანაც Oიმერლებს ჩვეულებად აქვთ Oკვახე ხილის ჭამა. ᲬᲔᲚᲡ სოფლებში გაჩნდა ეს სენი და, თუ Oროზე ყურადღება არ Oიაქციეს, ცუდი შედეგი ექნება. ᲔᲡ სენი სხვა სენივით საშიში არ არის, Oაგრამ ჩვენში Oომეტებულ ნაწილად, სურდოსაც ცუდი შედეგი აქეს ხოლმე.

ᲜᲐ-«ᲕᲝᲔᲜᲔᲑᲡ» (Oომის შემდეგ), Oოგორც ჩვენში ამბობენ, დიდი ქესატობა ჩამოვარდა და, საცა კი გაიხედავდი, სულ ქესატობაზე იყო საჩივარი. სოფლებიც ძლიერ უჩიოდენ ქესატობას. ᲐᲮᲚᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ Oაინც არ არის ეს ქესატობა. Oორაპნის მაზრას სულზე Oიასწრო შავმა ქვამ. Aქამომდე ყველა გაიძახოდა: რა გვეშველება ამ ქესატობაში, რა «შავი-ქვა» «და ნაცარი ცხელი» გვეშველებაო. ᲐᲛ კითხვაზე ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐᲛ, Oიგანმა და Oუქრუთმა თავისის შავის-ქვით სწორედ სანუგეშო პასუხი Oისცა. Oორიდამ Oოკიდებული ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲐᲛᲓᲘᲡ და Oაჭიდამ ᲐᲮᲐᲚ-ᲪᲘᲮᲔᲛᲓᲘᲡ ყველა Oცხოვრები თავისის ხარ-კამეჩით Oიესწრაფებიან შავქვის საზიდავად. Oღითი-Oღე განუწყვეტლივ, ათასობით ხარ-კამეჩი აბია დასაპალნებულ ურმებში, ასობით დატვირთულია ცხენები და ეს ქარავანი Oოდის ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲨᲘ, Oიორებს ტვირთს და ისევ Oიესწრაფება უკანვე. Oიგიანი უღელი ხარი Oღეში სამს მანათს იღებს. Oერთის სიტყვით, შავმა-ქვამ Oოსპო ქესატობა Oთელ ოთხ-ხუთ მაზრაში, Oხოლოდ ამწონებმა გაუჭირეს საქმე საწყალ ქვის Oზიდველებს. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ათ ფუთს ქვაში უმიზეზოდ გამოდიან ფუთს ტაროს *), ერთ ან ორ ფუთს წონაში იპარავენ. ᲐᲡᲔ Oომ ათს ფუთში Oლეხი იღებს ან შვიდი ან Oვა ფუთის ქარას. Oუ ქვა-გუნდის წარმოობამ ამ გვარად გასტანა ხუთი-ექვსი წელი და უკანონო საქციელი Oწარმოებელთა გასწორდა, ეჭვი არ არის, ჩვენი ქვეყნის Oუშა ხალხი ბევრს ფულს შეიძენს.

Oემცნეულია, Oომ Oლეხს კარგ Oოსაველიან წლის Oროს უსათუოდ სხვა-და-სხვა კანონიერი და უკანონო Oოთხოვნილება გაუჩნდება ხოლმე, სხვათა Oორის Oარჩიელნი ააღერენ თავს და Oადიან სოფელ სოფელ. Oოგიერთა ამ გვარ Oარჩიელთაგანი დაუსჯელად დასეირნობენ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ. ᲐᲛ ᲦᲔᲔᲑᲨᲘ Oე შემხვდა გავლა სოფ. ᲩᲮᲐᲠᲨᲘ; იქ დაევსწარი ეკლესიაში Oცირე შემთხვევას. ᲔᲠᲗᲘ Oლეხი ჯვარს იწერდა, Oეჯვარეთ ჰყავდა ერთი ახალ-გაზდა Oლეხი Oმ. ᲨᲐᲩᲣᲚᲘᲫᲔ. ᲔᲡ ეაჟ-ბატონი წარმოდგა თუ არა, Oმ

*) ᲭᲣᲠᲭᲚᲘᲡ წონას Oომ გამოდიან, ტაროს Oმას ეძახიან.

წამსვე მღვდელმა უთხრა, შენ მეჯვარედ ვერ მიგიღებ, მიბძანდიო. საწყალმა თავ-მომწონე გლეხმა იწყინა ამ გვარი შეურაცხყოფა და გაბძანდა გარედ.

ამისი მიზეზი იმ წამსვე გამოვიკვლიე და შევიტყე, რომ ეს გლეხი ავად ყოფილა, ორი თვის შემდეგ მორჩენილა და უთქვამს; მე საიქაოს ვიყავი და იქ ანგელოზებმა მარჩიელობა მასწავლესო. ზოგს ეუბნება შენი შვილი ორ ან სამ თვეს იცოცხლებსო, თუ ფულს მომცემ, ჩემს ამხანაგებს ვსთხოვო, რომ არ მოკლან შენი შვილიო; სხვას ეუბნება, შენს ოჯახში კუდიანები არიან და იმათ უნდა მოუხერხო რამეო და სხვანი და სხვ. აი, ამიტომაც გააძევა მღვდელმა ეს ვაჟ-ბატონი ეკლესიიდამ. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ჩხარის ბლაღოჩინს ამ მარჩიელის შესახებ მაზრის უფროსისათვის მიეწერა, რათა მას აღეკრძალა მისთვის მარჩიელობა. უფროსმა იმ წამსვე მამასახლისს მოსწერა, ხელ-წერილი ჩამოართვა თვით მარჩიელს, რომ თავის დღეში მარჩიელობა არ გაბედოს. მამასახლისმა ჩვეულებრივ, როგორც ამბობენ, ეს საქმე მიაჩუმაო. ახლა მარჩიელი დაიარება ხალხში და ამბობს: ამას წინად მაზრის უფროსმა დამიბარა და მარჩევიაო. ძლიერ მოეწონა ჩემი რჩევა, მერე მომრიგებელ-მოსამართლესთან გამგზავნაო და იმანაც მომიწონაო; ახლა ორივემ ნება მომცეს, ვიარო და ვიმკითხავოო, არავის ჩემთან ხელი არა აქვს, და ვერცარავინ მეტყვის რასმეო. ქარგი იქნება, მაზრის უფროსმა ყურადღება მიაქციოს ამ უმეცარის და ბრიყვის კაცის ბრიყულ მოქმედებას.

გ. ფ.

უცხოეთი

ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ლორდ რანდოლფ ჩერჩილმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა ამ მოკლეს ხანში, ერთ ნადიმზე შეფილდში. ჩერჩილი თავის სიტყვაში, სხვათა შორის, ავღანის საქმესაც შეეხო და სთქვა, რომ რუს-ინგლისის შორის მოლაპარაკების გაჭიანურება იმ გარემოებამ გამოიწვიაო, რომ არც ერთს ამ სახემწიფოთაგანს არა ჰქონდა დაწერილებითი, ნამდვილი ცნობანი სადავო ადგილების მდებარეობაზე. გაჭიანურების გარდა ამ საქმეს საშიშარი თვისებაცა ჰქონდა—უბრალო რამ მიზეზს შეეძლო საზარელი შეტაკება გამოეწვია რუსეთისა და ჩვენ შორისო... მაგრამ დღეს სიამოვნებით შემიძლიან გაცნობოთ, რომ ზულფიკარის გასაელის საქმე დამთავრებულია, სიამოვნებით იმიტომ, რომ ეს გასაელი აბრკოლებდა, აჭიანურებდა საქმესაო. (ბლაღსტონის დროს გადაწყდა თითქმის, რომ პენჯდე რუსებს დასთმობოდათ და მთელი ზულფიკარის გასაელი კვალად ავღანის საკუთრება ყოფილიყო. მაგრამ შემდეგ ამ დადგინებისა რუსეთმა თავისთვის მოითხოვა კარგა დიდი ნაწილი ზულფიკარის გასაელისა და დღემდის მხოლოდ ეს საქმე იყო საგანი მსჯელობისა და მოლაპარაკებისა.) ამ ჟამად, — განუგრძვია ლორდ ჩერჩილს, რუსის მმართებლობამ უფრო ბეჯითად გასინჯა ხსენებული გასაელის საქმე და შესაძლოდ ჰპოვა შესცვალოს იმ მიჯნის მიმართულება, რომელიც ბლაღსტონის სამინისტროს დროს უნდა გაყვანილიყო. ყველასაგან პატივ-ცემული ინდოეთის ვიცე-კოროლი ლორდ დეფერინი, სერ რიჯვეი და სხვა აფიცრები, სადავო ადგილებზე მყოფნი, აცხადებენ, რომ რუსის მმართებლობისაგან ახლად წარმოდგენილი მიჯნა უფლებას არ ართმევს ავღანის ემირს — თავისუფლად ჰფლოს და ისარგებლოს ზულფიკარის გასავლით და ყოველის მხრით დააკმაყოფილებს თვით ჩვენს მოვალეობასაც ავღანის ემირის შესახებ. ამიერიდამ, იმედი გვაქვს, არაფერი დაბრკოლება აღარ აღმოუჩნდეს ზულფიკარის საქმის დამთავრებას. იმედი გვაქვს, რომ აუჩქარებლობით, მოთმინებით და ჩვენ მოთხოვნილებათა ენერგიულად დაცვით ისეთს მორიგებას დავამყარებთ რუსეთთან, რომ საშუალო აზიის ბედი აღარ გვაფიქრებდეს. ნუ წარმოიდგენთ, ამიტომ, რომ იმ გაკვეთილებმა, რომელიც ჩვენ უკანასკნელ შემთხვევათა მოგვცეს, უნაყოფოდ ჩაიარონ ბრიტანიისა და ინდოეთის მმართებლობათათვის. დაწყებულს მზადებას, მარაგს, რომლის შეწყვეტას — მგონია—არავინ იტყვის, ინდოეთის საზღვრების გამაგრებისათვის და ამ ქვეყნის ჯარის დარაზმისათვის, თავს არ დავანებებთ. ამ მზადებას არც ერერთი ევროპის სახემწიფო არ მიიღებს თავისთვის შეურაცხებად ან გამოწვევად ჩვენის მხრით.—დასასრულ არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არ მოგახსენოთ ზოგიერთ გაზეთებისაგან გამოცხადებულს ეჭვზე ემირისა და ჩვენ შორის დამოკიდებულების შესახებ. რასაკვირველია, ერთმა ღმერთმა უწყის, რაც ტრიალებს ადამიანის გულში, მაგრამ, რამდენადაც შემიტყვია იმ ცნობებიდამ, რომელთაც ჩემს ხელში გაუვლიათ, მგონია, მთელს ისტორიაში აღმოსავლეთის კავშირთა ძვირად თუ მოიძებნება ისეთი ერთგული, ჭეშმარიტი მოკავშირე, როგორც ავღანის ემირია დიდ-ბრიტანიისა. ინდოეთის ვიცე-კოროლის გონიერის დიპლომატიურის მოქმედების წყალობით ემირი დარწმუნებულია, რომ ჩვენი გულითადი წადილია მუდამ მეგობარი და მფარველი ვიყვეთ მისი. თვით უუკიდურეს მდგომარეობის დროს ემირს ჩვენი მხარე ეჭირა.»

◆◆ ესპანიაში ცუდი ამბები ხდება. გერმანიის საწინააღმდეგო დემონსტრაციები ლამის ანტი-მონარქიულ, ანტი-დინასტიკურ მოძრაობად გადიქცეს. გაზ. «France»-ს სწერენ მადრიდიდამ: «ქოროლინის კუნძულების საქმეს თან-და-თან ეკარგება ესპანიაში გარეშე პოლიტიკისა და პატრიოტიული მნიშვნელობა; ეს საქმე, რომელმაც თავ-და-პირველად ისეთი მამულის მოყვარული გრძნობა გააღვიძა ესპანიელთ გულში, დღეს ემუქრება თვით ესპანიის მმართებლობითს წეს-წყობილებას. ასეთი ხმა ბია გავრცელებული აქ და ეს გარემოება ძლიერ აფიქრებს სამინისტროს მეთაურს ქანოვასს და თვით მეფესაც. მმართებლობა იმდენად უძლურად რაცხს თავის თავს, რომ ვერ მოუწოდებია კორტესები; მას ეშინიან ხილხის წარმომადგენელობამ არ მიიღოს მმართებლობისათვის წინააღმდეგი გიდაწყვეტილება.

ესპანიამ გააღაშქრა სამხედრო გემები კოროლინის კუნძულებისაკენ. ერთი გემი მიადგა კუნძულს იაპს და ესპანიელნი მოემზადენ ამ კუნძულის დაპერისათვის. მესამე დღეს ამავე კუნძულს მისდგომია გერმანიის გემი და ამ გემით მოსულს გერმანიელებს თავიანთ სახელმწიფოს დროშა გამოუფენიათ ამ კუნძულზე. ამ ამბავმა ახალი აღელვება გამოიწვია მადრიდში. გაბრაზებული ხალხი მისცვივდა გერმანიის ელჩის სადგურს, ჩამოჰგლიჯა გერმანიის გერბი და დასწვა შინაგინ მინისტრის სადგომის წინ; აუარებელი გროვა ხალხისა თან ყვიროდა: «ძირს გერმანია! ომი! ომი!» ხალხის ბრბო აქედამ წასულა საფრანგეთის ელჩის სადგურისაკენ და აღტაცებული ოვაცია მოუხდენია. ხალხის დასამშვიდებლად ჯარი დასჭირებიათ.

ესპანიის ხალხის სიბრაზეს, რაღა კითხვა უნდა, უფრო ცეცხლს შეუკეთებს ინგლისის ეანცხადება, რომ ესპანიამ ბოდიში უნდა მოიხადოს გერმანიის წინაშე, რომლის ელჩსაც დიდი შეურაცხება მიაყენა ესპანიის ხალხმა მადრიდშიო. ამ გარემოებას, უეჭველია, ყველანი ინგლისისაგან გერმანიისადმი პირ-მოთნეობად მიიღებენ. ინგლისი გერმანიის გულის მოგებას სცდილობსო—იტყვიან ყველანი, რადგან ესპანიელთაგან გერმანიის ელჩის შეურაცხ-ყოფა თვით გერმანიის ბრალია. რომ გერმანია არ შეეხებოდა ქოროლინის კუნძულებს—ამის ელჩსაც არავინ გასცემდა ხმას მადრიდში.

საჩინო მარიდაშვილი

ხალხური გადმოცემა.

ივრის-ხეობა თავისის ფართო სათემო მინდვრებით იმთავითვე ყოფილა განთქმული დიდი მეოჯახე გლეხებით; ცხვრის, ძროხის, ღორის და მტრედების მომრავლებაც კი ყოფილა სიმდიდრის წყაროდ და ბურჯად ამ გვარ ოჯახობისა. ხალხური გადმოცემა უთითებს ერთ ამ გვარს ოჯახის შვილზედ, რომელსაც მეფე ირაკლის დროს უცხოურია სოფელს ბიორგიწმინდაში. უზარ-მაზარი ნანგრევები თავლისა, კალო საბძლისა, მარნისა და გრძელ ქვითკირის მრავალ თახჩებიან სამტრედოსი დღესაც მოწმობენ ამ ოჯახ-მდიდარ ოჯახიშვილს საჩინო-მარიდაშვილზე. ირაკლე მეფესაც ბევრი რამ ჰქონია გაგებული და ერთხელ, როცა თელავიდან გადმოუვლია ციცის მთები და ჩამოშვებულა ივრის ხეობაში დიდის ამალით, მოეანდომებინა სწვეოდა საჩინოს, რისთვისაც გამგზავრებულა ბიორგიწმინდისკენ. საჩინო ჭალარა შერთული ხნიანი გლეხი კი იქვე სოფლის ბოლოს აძოებდა ორასამდე ხბოსაო. მეფე თავს წაადგა და უთხრა:

— გამარჯვება, ბერი-კაცო!

— დღეგრძელობა და გამარჯვება ჩვენს ბატონს მეფე ირაკლისა!—უპასუხა საჩინომ.

— საჩინო მარიდაშვილს ვერ იცნობ?—ჰკითხავს მეფე.

— მაშ ვილას ვიცნობ, შენი ჭირიმე ბატონო?

— ამ ჩემის ამალით სტუმრად უნდა ვეწვიო და შესძლებს დახვედრას, თუ არა?

— დღეგრძელობა ბატონს ირაკლესა ჰქონდეს, რომ საჩინოს მისი დახვედრა იამოს და გაეხარდეს.

მოისმინა რა ეს მეფემ—სოფლისკენ გასწია. ანება საჩინომაც თავი თავის ხბორებს, მიეჭრა მოკლე გზით სახლში და ყურთმაჯიან ჩოხით, ბედნიერის ღიმილით სახლში დაჰხვდა მეფეს. მიიწვია მეფე გძელ-უზარ მაზარ თავლის ბანზედ *) და იქ მიაწყდნენ ირაკლეს როგორც მნახველნი ისე მეაჯენი. საჩინო კი დატრიალდა სტუმრებისთვის ნამცხვარის შესამზადებლად. დახოცა ბლომად ცხვარი, ძროხებიც წამოაქცია და კაცის თავს თითო მტრედიც-კი მოატაბაკებინა. როცა ნადიმი დაიწყო, —ირაკლემ უთხრა მასპინძელს:

— რაც რამ შენ ოჯახიშვილობაზე მიამბეს ყველა მართალი გამოდგა, ჩემო საჩინო, მაგრამ ერთში-კი მოატყუილეს—მითხრეს, საჩინო უეჭველად საქმეს რასმე გაუჩენს და გააკეთებინებს ყველა სტუმარს, ვინც კი მას სადილის წინ ეწვევაო, და შენ იქნება ეხლა ჩემი შაგეხათრა?

— ხათრი და რიდი მეფისა—ქათალიკოსისა დიაღ, რომ ყველას გვმართებს, ბატონო მეფევ, მაგრამ ეგ ჩემი ჩვეულება-არავისი უხათრობა არ არის და იმიტომ, ნურას უკაცრავად, მოგახსენებ, რომ შენც-კი გაგსაჯე სადილის წინედ.—მოახსენა საჩინომ.

— როგორ?—ჰკითხა მეფემ.

— ისე, რომ ჩემი თავლა, რომელზედაც თქვენ ჰსამართლობდით ახალ მიწა შეყრილია და ორი სოფლის ხალხი უნდა მემეწვია, რომ გა

*) თავლის ბანს იზრის-ხეობაში უეჭველად ჩარდახიც აქს ხოლმე და შიგ ძნას ინახვენ.

მეტკეპნინებინა—თქვენ-კი ეხლა მშვენიერად გამიტკეპნეთ...

მეფეს მოეწონა საჩინოს თქმაც, მისი ოჯახიც და ესე ბძანა:

კარგი ხარ კარგო ყოფნაო,
ბევრო ცხვარო და ძროხაო;
საჩინოს საკადრისიხარ
მეფის ნაცვამო ჩოხაო. .

აიღო და თავისი ჩოხა უბოძა საჩინოს.

შაქრო
ბ. ...

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

სექტემბრის 3-ს.

ძაირი. ამბობენ,—ხანთქარს განზრახვა აქვს, რომ დიდი გეზირი რაღაც მინდობილობით ეგვიპტეში გაგზავნოს.

ჰუმ. ანამის მეფედ ჩან-ნანგი დაინიშნა; დღეს იგი სასახლეში გადავიდა გვირგვინის კურთხევა ენკენისთვის 7-ს მოხდება. აქ ხოლერა გაჩნდა.

ბირჟა

პეტერბურგი სექტემბრის 3.

100 მანათის კურსი სამის ოვით ლონდონზე—	—$23^{31}/_{32}$ $24^{3}/_{32}$ 24
100 მანათის კურსი სამის ოვით ჰამბურგზე—	—$203^{3}/_{4}$ $204^{1}/_{2}$ 204
100 მან. კურსი სამის ოვით პარიუზე —	— $252^{3}/_{4}$ 253
პოლუიმპერიალები	— 8 მ. 26 კ. გაუ.
ტამოუნის აუპონები	— 8 მ. 28 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 31 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი—	— $5^{1}/_{4}$ და $6^{1}/_{2}$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა —	— — $99^{1}/_{2}$ მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 98 მ. 87 კ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— $98^{1}/_{2}$ მ. მუ.
მეოთხე გამოც. —	— $98^{1}/_{4}$ მ. მუ.
მეხუთე გამოც. —	— 98 მ. 37 კ. მუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. —	$97^{1}/_{2}$ მ. გაუ.
მეორე გამოც. —	— 97 მ. 37 კ. მუ.
მესამე გამოც. —	— 97 მ. 37 კ. მუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა —	$219^{1}/_{2}$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა—	$211^{1}/_{4}$ მ. გაუ.
ოქროს რენტა —	— $173^{1}/_{4}$ მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები—	— — 27 წ. $89^{1}/_{4}$ მ. გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 92 მ. გამუ. 43 წ. 90 მ. გამუ.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოროლნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ენკენისთვიდამ 1 ღვინობისთვემდე 1885 წ.

გაძომცხვარი პური, რუ სეთის ფქვილისა —	—1 გირ. 5 ჭ
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა—	—1 გ. $2^{1}/_{2}$
მეორისა — —	—1 გ 2 ჭ
იმავე ფქვილისა თორნეში გამოცხვარი:	
პირველი ხარისხის	—1 გ. $4^{1}/_{2}$
მეორისა — —	—1 გ. 3 ჭ.
მესამისა — —	—1 გ. $2^{1}/_{2}$
ჯვარის-ძამის პური:	
პირველის ხარის. ლავაში	1 გ. $4^{1}/_{2}$
მეორის ხარის. ლავაში	1 გ. $3^{1}/_{2}$
მესამისა — —	—1 გ. 3 ჭ
ძროხის ხორცი:	
პირველის ხარისხისა—	1 გ. 6 ჭ
მეორისა — —	—1 გ. 5 ჭ.
სუკი— — —	—1 გ. 13 ჭ
ცხვრის ხორცი—	—1 გ. 7 ჭ
ღორის ხორცი:	
პირველის ხარისხისა	1 გ.
მეორისა —	—1 — გ.

განცხადებანი

სასწავლებელი და პანსიონი

ე. კოვვაჩისა

შახმურადოვის სახლში,—ჰავჰავაძის და ბრიბოედოვის ქუჩების კუთხეში. იყვანენ ყმაწყილებს მოსამზადებლად ყველა სასწავლებლებისათვინ; დღე და ღამ შესანახავათ მიიღებიან აგრეთვე გიმნაზიის და კადეტის კორპუსის უმცროსი კლასების მოსწავლენი, გაკვეთილების რეპეტეციით და ფრანცუზული ენის პრაქტიკით. სწავლა დაიწყობა სეკტემბრის 2-დგან.

სასწავლებელში პრაქტიკისათვინ საჭირო არის ფრანცუზის ქალი.

(3—1) ე. კოვვაჩი.

ქირავდება

ოთხი ოთახი, მამა-დავითის მოედანზე, სარდაფით, თავლით და სხვა მოწყობილობით. № 5, პ. გრიგორიევის სახლები.

(1—1)

სათეატრო განცხადება.

ამ წლის ოკტომბრის 1-დამ 1886 წლის აღებამდის ქართული დრამატიული დასი დაიწყებს წარმოდგენების გამართვას.

ამის გამო დასის გამგეობა მოიწვევს, როგორც ძველს არტისტებს აგრეთვე დასში ახლად შემოსველის მსურველთ წარუდგინონ თავიანთი პიროობანი დასის საქმეთა გამგეს.

(10—5) საქმეთა გამგე ვ. აბაშიძე.

კომერციული კურსები

ორიენტ სქესის პირთათვის.

წელიწადი მეოთხე

კურსებს საგნად აქვთ მისცენ სპეციალური კომერციული განათლება ორივე სქესის პირთ და ასწავლონ პრაქტიკული ანგარიში.

1885—86 წელს ასწავლიან შემდეგს საგნებს: 1) კომერციული ეკონომია, 2) კომერციული არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (უბრალო, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ხოთქზედ, 5) კომერციული მიწერ-მოწერა, 6) საკაბრო და საოთმასუქო წესდებანი. 7) სუფთად და სახარბოდ წერა, მსურველთათვის ფრანცუზული ენა.

სწავლა დაიწყება სექტემბრის 15-დამ, ახალნი მოწაფენი მიიღებიან აგვისტოს 25-დამ ყოველ-დღე საღამოს 5—8 საათამდის, კურსების სადგურში, რომელიც იმყოფება **სოლოლაკზედ, ლაბარატორიის ქუჩაზედ ივანე ყოროლანოვის სახლში № 11.** პროგრამები და წესდებანი უფასოდ ეძლევათ წოვიანოვების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზედ და ტერ-სარქისიანის საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზედ. ძალაქ გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ მიმართონ წერილით კურსების დამაარსებელს **ს. მანუელიანცს.** (8—6)

ი. ა. ფორაქოვის და დ. ზ. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სა სახლის ქუჩაზედ).

ისყიდება

დაწმენდილი კურის არაყი სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის აღრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Пораковa и Д. Сараджева. (20—15)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახალად დაიბეჭდა და ისყიდება «დროების» რედაქციაში

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შეესებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმ. ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქართით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წოლოსნისაგან, და ამოჭრილი ვ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა, (ვახუშტისა); მეორე ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე ანუ ქართველი ისტორიის წყაროები და „ქართლის ცხოვრების“ ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშნვებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალი დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქართა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელწოდებებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთა-ხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი "ვახუშტის ისტორიისა". "მეორე ნაწილს" საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატრობა როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი ანუ გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის აღფაბეტით გამოიცემა 1887 წელს.

(25—6)

Дозв. ценз. Тифлисъ, 3 Сентября 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი